პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 9 ივლისი, 1943 წ. № 145 (6770). ფასი 20 კაპ.

ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის!

მთელი მსოფლიო, მთელი მოწინავე შრომაზროვნე კაცობრიობა აღტაცებულია საბჭოთა ხალხის გმირობით, მამაცობითა და სამხედრო ოსტატობით. სამამულო ომის ბრძოლის ველებზე წითელი არმიის მეომრებმა გვიჩვენეს გულადობისა და მამაცობის, საშობლო მიწა-წყლისადმი მხურვალე სიყვარულის უკვნარი ნიმუშები, საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების ნიმუშები.

უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა მეომრებმა ახალი უკვდავი საგმირო საქმეებით გაადიდეს ჩვენი სამშობლოს საბრძოლო იარაღის ისტორიული დიდება. რუს მეომრებთან ერთად, მათთან ხელიხელჩაკიდებულნი იბრძვიან ჰიტლერელ ავაზაკთა წინააღმდეგ ბრძოლის ველებზე საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის შვილები.

წითელი არმიის მიერ მიყენებული გამანადგურებელი დარტყმებით გერმანიის სამხედრო მანქანა დაინჯღრა და შეირყა. „ომის მსვლელობაში გერმანელებმა დაჩარგეს მეტი წილი თავისი კადრის დივიზიებისა და გამოცდილ მეთაურ-ოფიცერთა შემადგენლობისა, აგრეთვე საომარი ტექნიკისა, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში ამზადებდნენ და აგროვებდნენ გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად. გერმანიის ჯარების ამ ზარალმა საფუძვლიანად დაასუსტა ჰიტლერული სამხედრო მანქანა და ჰიტლერული სახელმწიფო“. (საბჭოთა საინფორმაციო ბიურო).

მხოლოდ ნამდვილ დევგმირებს შეუძლიათ ჩაიდინონ ასეთი საგმირო საქმენი. მხოლოდ პატრიოტ ხალხს, რომელსაც შვილობრივი სიყვარულით უყვარს სამშობლო მიწა-წყალი, მხოლოდ საბჭოთა ხალხს, რომელიც ბოლომდე ერთგულია თავისი სამშობლოსი. ლენინ-სტალინის პარტიისა, აღმოაჩნდა უნარი ამ ორთაბრძოლაში ჰიტლერულ არმიასთან, რომელიც შეიარაღებულია მთელი ევროპის ტექნიკით, ეგემეტრინა მისთვის ისეთი დარტყმები, რომლებმაც გამოიწვიეს გერმანიის არმიის სერიოზული კრიზისი და ძირი გამოუთხარეს ჰიტლერული გერმანიის სამხედრო ძლიერებას.

როგორც კუნთები მაგრდება და მტკიცდება მუშაობაში, როგორც ფოლადი იღებს ალმასის სიმტკიცის საწრთობი ლუმელის ცეცხლში, სწორედ ასევე ორი წლის დაძაბული ბრძოლების განმავლობაში განმტკიცდა და გამოიწრთო წითელი არმია, რომელიც მტრისადმი მრისხანე ძალად გადაიქცა. მისი პირადი შემადგენლობა გამოიდრდა საბრძოლო გამოცდილებით, მისი ოფიცერთა კადრები ჯარების წინამძღოლობის ოსტატები გახდნენ. წითელი არმიის ტექნიკური აღჭურვილობა განუზომლად გაიზარდა, ხოლო მისმა სტრატეგიამ, უდიდეს ბრძოლებში თავისუფლად და სწრაფი მანევრის სტრატეგიამ, აჯობა ჰიტლერული გენერლების სტრატეგიას.

წითელი არმიის საბრძოლო სულისკვეთება ახლა ისე მაღალია, როგორც არასოდეს არა ყოფილა. საბჭოთა ზურგი ახლა ისე მტკიცეა, როგორც არასოდეს არა ყოფილა. ზურგი ისე ურღვევად არის დაკავშირებული ფრონტთან. როგორც არასოდეს არა ყოფილა. იგი შედუღაბებულია ერთიანი კეთილშობილური მისწრაფებით—მალე გაათავისუფლოს საბჭოთა მიწა-წყალი დამპყრობთაგან. საბჭოთა ხალხი, რომელიც თავდადებით იცავს დედა-სამშობლოს, ისე მონოლიტურია თავისი კეთილშობილური სიძულვილით ფაშისტი მხეცისადმი, როგორც არასოდეს არა ყოფილა.

ომის ორი წლის შედეგებმა თვალნათლივ დაგვანახვეს, რომ ყველა უპირატესობა თავისუფლებისმოყვარე ხალხების კოალიციის მხარეზეა. მაგრამ ამხანაგი სტალინი აფრთხილებს საბჭოთა ხალხს, უდარდელობისა და თვითდამშვიდებისაგან: „...საბჭოთა კავშირის ხალხებს და მათს წითელ არმიას, ისევე როგორც ჩვენს მოკავშირეებსა და მათს არმიებს, კიდევ მოელით სასტიკი და მძიმე ბრძოლა ჰიტლერელ მტარვალებზე სრული გამარჯვებისათვის. ეს ბრძოლა მოსთხოვს მათ დიდ მსხვერპლს, უდიდეს გამძლეობას, რკინისებურ სიმტკიცეს. მათ მობილიზაცია უნდა უყონ მთელ თავიანთ ძალებსა და შესაძლებლობებს იმისათვის, რომ დაამარცხონ მტერი და ამრიგად გზა გაიკაფონ მშვიდობიანობისაკენ“.

ფაშისტი მხეცი ქანცგამოცლილია საბჭოთა კავშირთან ორი წლის ომით. მან ბევრი სისხლი დაჰკარგა, იგი მძიმედ არის დაჭრილი მძლავრი დარტყმით, რომელიც მას აგემეს წითელმა არმიამ სტალინგრადთან და მოკავშირეთა ჯარებმა ტუნისში. მაგრამ დაჭრილი მხეცი, გააფთრებული და გაშმაგებული, თავისი განწირულობის შეგნებით, განსაკუთრებით საშიში არის ხოლმე. გერმანიის არმია ჯერ კიდევ ძლიერია, და ჰიტლერს, რომელმაც მობილიზაცია უყო უკანასკნელ ძალებსა და რეზერვებს, შეუძლია სცადოს ახალი ავანტიურის წამოწყება.

5 ივლისს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალები, რომლებსაც დიდძალი ავიაცია ეხმარება, შეტევაზე გადმოვიდნენ ორიოლ-კურსკისა და ბელგოროროდის მიმართულებებით. 6 ივლისს ბრძოლები გრძელდებოდა. ჩვენი ჯარები ეწევიან შეუპოვარ ბრძოლებს, ანადგურებენ მტრის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის უფიდეს მასებს. ორი დღის განმავლობაში ორიოლ-კურსკისა და ბელგოროროდის მიმართულებებით ჩვენმა ჯარებმა დაახლოებით 1.019 ტანკი, საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით 5 და 6 ივლისს ჩამოგდებულია ფაშისტთა 314 თვითმფრინავი.

ფრონტის სიწყნარე საბრძოლო ალოობით შეიცვალა, და ამ საბრძოლო ალოობის პირველივე დღეები აღნიშნული იყო საბჭოთა მეომრების ახალი უმაგალითო საგმირო საქმეებით. მოწინავე დაცვათა და ტანკსაწინააღმდეგო საფართა მებრძოლები აუღელვებლად გამოუშვებენ ხოლმე მტრის მოიერიშე ტანკებს, გრიგალისებური ცეცხლით სწყვეტენ მათ ქვეითს ჯარს, სპობენ მას, ხოლო შემდეგ ტანკებს ცეცხლის რკალში აქცევენ, აზიანებენ და სწვავენ ათობით და ასობით მანქანებს. არტილერისტები და ნაღმმტყორცნელები, გვიჩვენებენ რა საბრძოლო წრთობის ნიმუშებს, ცეცხლითს თავდასხმებს ახდენენ მოიერიშე ქვეითს ჯარზე და მთელ ქვეგანაყოფებს სცელავენ. საბჭოთა მფრინავები მისდგომებზე და ზურგში ანადგურებენ მტრის ეშელონებს, ბომბავენ და სწვავენ საწყობებს საომარ მასალიანად.

გულდაჯერებით, თავისი ძლიერების შეგნებით, თავისი სამართლიანი საქმის გამარჯვებისადმი მტკიცე რწმენით ადევნებს თვალყურს საბჭოთა ხალხი დაწყებული ბრძოლების განვითარებას. მას ახსოვს თავისი ბელადისა და მხედართმთავრის სიტყვები: „მტერმა უკვე იგემა შემმუსვრელი ძალა ჩვენი ჯარების დარტყმებისა. ახლოვდება დრო, როცა წითელი არმია ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად ხერხემალს გადაუმტვრევს ფაშისტ მხეცს“. და ყოველმა საბჭოთა ადამიანმა ფრონტზე და ზურგში, ბლინდაჟში მოწინავე ხაზზე და ჩარხთან თავდაცვითს ქარხანაში, საკოლმეურნეო მინდორში და ორთქლმავლის ჯიხურში, საკონსტრუქტორო ბიუროს სამხაზველოში, ყველგან, სადაც უნდა მუშაობდეს, უნდა გააკეთოს ყოველივე, რაც მასზეა დამოკიდებული, რათა მოაახლოოს გამარჯვების სანატრელი ჟამი.

მოვახმაროთ მთელი ძალები, მთელი ჩვენი უნარი, მთელი ენერგია და ნებისყოფა იმას, რომ ახალს გადამწყვეტ ბრძოლებში უკუვაგდოთ, დავამარცხოთ და მოვსპოთ საძულველი მტერი, სამუდამოდ გავწმინდოთ საბჭოთა მიწა-წყალი ჰიტლერელ ავაზაკთაგან.

„პრავდის“ მოწინავე, 7/VII.

წინდენა ქვაბის კონსტრუქციის შექმნისათვის პროფესორ ლეონიდ კონსტანტინეს-ძე რამზინისათვის სტალინური პრემიის მინიჭებისა და წინდენა ქვაბისათვის ავტორის სახელის მიკუთვნების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიენიჭოს პირველი ხარისხის სტალინური პრემია 150.000 მანეთის რაოდენობით პროფესორ ლეონიდე კონსტანტინეს-ძე **რამზინს** წინდენა ქვაბის კონსტრუქციის შექმნისათვის.

2. მიეკუთვნოს წინდენა ქვაბს ავტორის სახელი და ამ იერიდან ეწოდოს „**რამზინის ქვაბი**“.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. სტალინი
სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს სექმეთა მმართველი ი. ჩადაევი

მოსკოვი, კრემლი. 7 ივლისი, 1943 წელი.

მძიმე მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის წინდენა ქვაბმშენებლობის ბიუროს მუშაკთა დაჯილდოება

წინდენა ქვაბების კონსტრუქციების წარმატებით შექმნისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 7 ივლისის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან: **ლენინის ორდენით**— **რამზინი ლ. კ., „შრომის წითელი დროშის ორდენით**—6 კაცი, „**სპატაკის ნიშნის**“ **ორდენით**—17 კაცი **და მედლით** „**შრომითი მამაცობისათვის**“—5 კაცი. (საკადესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ბოლნისის რაიონის სოფ. ტრაუბენბერგის სოფელ თამარისად გადარქმევის შესახებ

ბოლნისის რაიონის სოფ. ტრაუბენბერგს ეწოდოს სოფელი თამარისი და ტრაუბენბერგის სასოფლო საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1943 წ. 6 ივლისი. ქ. თბილისი.

სან. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საკავშირო სიგელების გადაცემა ქალაქ თბილისის ადგილობრივი საკავშირო თავდაცვის მუშაკთათვის

გუშინ, 8 ივლისს სან. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. **ბ. სტურუამ** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები გადასცა ქალაქ თბილისის ადგილობრივი საკავშირო თავდაცვის მუშაკებს, რომლებმაც ეს სიგელები მიიღეს, ქალაქ თბილისის საპაერო თავდაცვის დარგში სანინიუშო მუშაობისათვის. საპატიო სიგელები გადაეცა: ამხ. **ბ. ა. აკოფოვს, ნ. გ. გლუშჩენკოს, ბ. ა. გოროდეწსკაიას, ნ. ვ. ეფიმკინს, ი. მ. კერესელიძეს, ნ. გ. კვანტალიანს, ს. გ. კროლს, ვ. ი. მენთეშაშვილს, მ. ლ. მეფარიშვილს, მ. გ. ოგანეზოვს, გ. ა. ყარაშვილს, ი. ბ. ჩიკვაიძეს, გ. მ. ჩომახიძეს, ე. ნ. ხერხეულიძეს** და **გ. პ. ხომერიკს.**

სიგელების გადაცემის შემდეგ ამხ. **ბ. სტურუამ** აღნიშნულ ამხანაგებს მიულოცა საპატიო ჯილდო და უსურვა უფრო მეტი ნაყოფიერი მუშაობა.

თბილისის ადგილობრივი საპაერო თავდაცვის მუშაკთა სახელით ამხ. **გ. პ. ხომერიკმა. მ. ლ. მეფარიშვილმა** და **ე. ნ. ხერხეულიძემ** მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას და სიტყვა მისცეს **იმუშაონ უფრო მეტი** თავდადებით, როგორც ამას მოითხოვს საბჭოთა ომის ვითარება.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

7 ივლისის ოპერაციული ცნობა

7 ივლისის განმავლობაში ჩვენი ჯარები **ორიოლ-კურსკის** და **ბელგოროროდის** მიმართულებებით შეუპოვარ ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგეთთან, რომელიც განაგრძობდა შემოტევას ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდი ძალებით. გერმანელთა შემოტევას ეხმარებოდა დიდძალი ავიაცია, რომელიც დამატებით არის გადმოყვანილი სხვა ფრონტებიდან. მთელი დღის განმავლობაში სწარმოება და გააფთრებული საჰაერო ბრძოლები.

ორიოლ-კურსკის მიმართულებით მოწინააღმდეგის ყველა იერიშს წარმატება არა ჰქონია.

ბელგოროროდის მიმართულებით მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა და ერთგვარი წინწაწევა ჰქონდა.

ჩვენმა ჯარებმა, ორიოლ-კურსკისა და ბელგოროროდის მიმართულებებით ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 520-მდე ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 229 თვითმფრინავი.

დაზუსტებული ცნობებით, 6 ივლისის განმავლობაში საჰაერო ბრძოლებში და ჩვენი საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა არა 111 თვითმფრინავი, როგორც ამას წინათ ვიუწყებოდით, არამედ მოწინააღმდეგის 217 თვითმფრინავი.

* * *

ორიოლ-კურსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები მთელი დღის განმავლობაში შეუპოვარ ბრძოლებს ეწეოდნენ შემმტევ მოწინააღმდეგესთან. 6 შენაერთის უბანზე მტრის ტანკების ჯგუფებს, თითოეულს რიცხვით 80-დან 100 მანქანამდე, განუწყვეტლად მოჰქონდათ იერიში საბჭოთა სამაგრეებზე და ცდილობდნენ გაერღვიათ ჩვენი ფრონტი. ტანკებს მოჰყვებოდნენ გერმანელთა მოტოქვეითი ჯარის დიდი ძალები. ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის ყველა იერიში და ტანკიც ინარჩუნებენ თავიანთ პოზიციებს. ცალკეულ უბნებზე გერმანელთა ტანკების რამდენიმე ჯგუფი, 15-30 მანქანა თითოეულში, ჩვენი ნაწილების საბრძოლო წყებებით თავდაცვის სიღრმეში შემოიჭრნენ. დღის ბოლოსთვის ყველა შემოჭრილი ტანკი მოსპობილ იქნა. გერმანელთა დაზიანებულ და მოსპობილ ტანკებს შორის 40 ტანკზე მეტი „ვეფხვის“ ტიპისაა.

ჩვენმა ავიაციამ სასტიკ საჰაერო ბრძოლებში მოწინააღმდეგის ავიაციას მძიმე ზარალი მიაყენა.

საბჭოთა მებრძოლები და მეთაურები მამაცობისა და გმირობის მაგალითებს გვიჩვენებენ. ქვეგანაყოფს, რომელსაც მეთაურობს პოდპოლკოვნიკი ონოპრიენკო, მტრის დიდი ძალების გააფთრებულ შემოტევას გაუძლო. მებრძოლებს თავიანთი პოზიციები მაშინაც კი არ დაუტოვებიათ, როდესაც გერმანელთა ტანკები და ქვეითი ჯარი ქვეგანაყოფს შემოერტყნენ გარს. დღეს ქვეგანაყოფის მებრძოლებმა მტრის რკალი გაარღვიეს, გარშემორტყმიდან გამოვიდნენ და დაუყოვნებლივ მიიტანეს კონტრიერიში გერმანელებზე. გაფთრებული შეტაკების შედეგად ქვეგანაყოფმა უკუაგდო მოწინააღმდეგე და მტაციდან გამაგრდა თავის ძველ პოზიციებზე.

* * *

ბელგოროროდის მიმართულებით დილით გერმანელებმა ერთი საათის საარტილერიო მომზადების შემდეგ შემოტევა განაახლეს. ბრძოლამ მეტად დაძაბული ხასიათი მიიღო. ცალკეული დასახლებული პუნქტები, ხელსაყრელი ზღუდეები და მაღლობები რამდენჯერმე გადაიდგა ხელიდან ხელში. დღის განმავლობაში გერმანელებს განუწყვეტლივ მოჰყავდათ მაშველი ძალები თავიანთი შეფერთხილი დივიზიებისათვის და იერიშზე გადმოჰყავდათ ისინი. ერთ უბანზე მტერმა დღის ბოლოსთვის უმნიშვნელოდ წამოიწია წინ და რამდენიმე სოფელი დაიკავა. ჩვენი ჯარები კონტრიერიშზე გადავიდნენ და ბრძოლას ეწევიან მდგომარეობის აღსადგენად.

* * *

კალინინის ფრონტის ერთ უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის რამდენიმე იერიში. დღის განავლობაში გაწყვეტილია 300-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპობილია მტრის 13 ტყვიამფრქვევი, 6 ნაღმსატყორცნი და დამწვარია 2 ტანკი. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს დაკვლა: 2 ტყვიამფრქვევი, 6 ნაღმსატყორცნი და 50 შაშანა. სხვა უბანზე 6 ნაწილის მზვერავმა ჯგუფმა უეცრად მიიტანა იერიში მტრის დასაყრდენ პუნქტზე და გასწყვიტა გერმანელთა გარნიზონი. ბრძოლის ველზე დარჩა ჰიტლერელთა 60-მდე გვამი. წამოყვანილია ტყვეები და წამოღებულია ტალავნი. მზვერავებმა დაკალეს შეასრულეს ნაწილის ბრძანებანი. ბრძოლის ველზე დარჩა ჰიტლერელთა 60-მდე გვამი. წამოყვანილია ტყვეები და წამოღებულია ტალავნი. მზვერავებმა დაკალეს შეასრულეს ნაწილის ბრძანებანი.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლა იყო ორივე მხრივ. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ჩაახშეს მოწინააღმდეგის რამდენიმე საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი, დაანგრიეს 11 ბლინდაჟი და 3 ძელმიწური საცეცხლე წერტი. სანაღმტყორცნო გუნდებმა, რომელთა მემიზნეებიც არიან უმცროსი სერჟანტები აკიშევი და ჯიჩიბაკოვი, ააფეთქეს მტრის საომარი მასალის საწყობი. თვენახევრის განმავლობაში 6 ნაწილის 37-მა სნაიპერმა გასწყვიტა 472 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სნაიპერმა პეტრე ბელიაკოვმა მოსპო 101 ჰიტლერელი, ალექსი ადროვმა—66, სნაიპერმა პავლე ხრომოვმა გაუყლიტა 65 გერმანელი.

* * *

პინსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი ივნისის ბოლოს ღამით თავს დაესხა რკინიგზის სადგურის გერმანელ მცველებს. ხელჩართულ შეტაკებაში პარტიზანებმა გაუსტეხეს რამდენიმე ათეული ჰიტლერელი. დანარჩენი გერმანელი ჯარისკაცები გაქცეულნ. საბჭოთა პატრიოტებმა დაიკავეს სადგური, ააფეთქეს ხიდი, ყველა შესასვლელი და გასასვლელი ისარი და ათასი მეტრი რკინიგზის ლიანდაგი.

* * *

უკანასკნელ ხანს ჰიტლერელებმა ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში მრავალი დასტამრება მოახდინეს ინტელიგენციასა და სამღვდელოებაში. ქ. ბარანოვიჩში დასტამრებულია 3 ქსონძი და 50 მასწავლებელი. ინჟინერი და ექიმი. სლონიმსა და ახლო-მახლო სოფლებში გერმანელებმა დილეგებში ჩაჰყარეს 17 ქსონძი და 100-ზე მეტი მასწავლებელი და ექიმი. ნესვიეის რაიონში დასტამრებული და საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნილია ინტელიგენტური შრომის 35 მუშაკი. გერმანელმა ფაშისტმა კაციჭამიებმა დასტამრებულნი საშინლად აწამეს, მათი ნაწილი კი დახვრიტეს.

* * *

იტალიის ბრინდიზის საზღვაო ბაზაში მატროსთა შორის მღელვარებამ იფეთქა. ერთი საამხედრო ხომალდის ეკიპაჟმა უარი სთქვა ზღვაში გასულიყო საბრძოლო დავალების შესასრულებლად. მღელვარება მოხდა ადრეთვე სიციალია, სადაც იტალიელმა მატროსებმა, რომლებსაც მზარი დაუპირა ოფიცერთა ჯგუფმა, მოითხოვეს გერმანელი კონტროლიორების ფლოტიდან მოშორება. იუწყებიან, რომ იტალიის საამხედრო ხელისუფლებამ მრავალრიცხოვანი დასტამრება მოახდინეს მატროსთა და ოფიცერთა შორის.

8 ივლისის ოპერაციული ცნობა

8 ივლისის განმავლობაში ჩვენი ჯარები ორიოლ-კურსკისა და ბელგოროროდის მიმართულებებით განაგრძობდნენ შეუპოვარ ბრძოლებს მტრის შემმტევი ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდ ძალებთან. როგორც წინა დღეებში, გერმანელების შემოტევას დახმარებას უწევდა დიდძალი ავიაცია. მთელი დღის განმავლობაში სწარმოებდა გააფთრებული საჰაერო ბრძოლები.

ორიოლ-კურსკის მიმართულებით მტრის ყველა იერიში მოგერიებულ იქნა. წარმატებით ჩატარებული კონტრიერიშების შედეგად, ჩვენმა ჯარებმა განდევნეს მოწინააღმდეგე მთელი რიგი პუნქტებიდან, რომლებიც მტერმა დაიკავა შემოტევის პირველ დღეს, და გაიუმჯობესეს პოზიციები.

ბელგოროროდის მიმართულებით მოწინააღმდეგის ტანკების ჯგუფმა მოახერხა ჩვენი ჯარების თავდაცვაში სოლივით შემოჭრა.

ორიოლ-კურსკისა და ბელგოროროდის მიმართულებებით ბრძოლების ერთი დღის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა დაზიანეს და მოსპეს გერმანელთა 304 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის მიერ ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 161 თვითმფრინავი.

* * *

ორიოლ-კურსკის მიმართულებით მოწინააღმდეგემ დილით ადრე განაახლა შემოტევა. ერთი დასახლებული პუნქტის რაიონში, ვიწრო უბანზე, გერმანელებმა ბრძოლაში გამოიყვანეს 3 სატანკო და 3 ქვეითი დივიზია. 6 შენაერთის ნაწილები გაუმკლავდნენ მტრას 13 გააფთრებულ იერიშს, რომლებიც ერიმანეთს მოსდევდა, და ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევიათ უკან. ამ უნაყოფო იერიშების დროს მოწინააღმდეგემ დაჰკარგა 5.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, 120-მდე ტანკი, 33 ქვემეხი, 150 ტყვიამფრქვევი და 210 ავტომანქანა.

ორიოლ-კურსკის მიმართულების სხვა უბანზე ჩვენმა ჯარებმა ჩაატარეს რამდენიმე წარმატებითი კონტრიერიში და განდევნეს მოწინააღმდეგე მის მიერ შემოტევის პირველ დღეს დაკავებული რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან.

ბრძოლის ველიდან მოდის მრავალი ცნობა საბჭოთა მეომრების გმირობის შესახებ. საარტილერიო ბატარეამ, სადაც მეთაურად არის ლეიტენანტი დუდაური, განიცადა ჰაერიდან დაბომბვა და საარტილერიო დაშენა. შემდეგ მოწინააღმდეგის ქვეითმა ჯარმა და ტანკებმა იერიში მოიტანეს ბატარიის პოზიციებზე. არტილერისტებმა მტერი ახლო მანძილზე მოუშვეს და ზუსტი ცეცხლით დასწვეს „ვეფხვის“ ტიპის რამდენიმე მძიმე ტანკი. არტილერისტების ჯგუფმა ხელთ იგდო მოწინააღმდეგის თვითმავალი ქვემეხი და ამ ქვემეხით სროლა აუტეხა გერმანელთა ქვეითს ჯარს. მზვერავებმა ლუკაშინმა და შარმანოვმა შეაღწიეს მტრის სათვალთვალო პუნქტში, მოჰკლეს 533-ე პოლკის გერმანელი ოფიცერ-ლეიტენანტი, ხელთ იგდეს დოკუმენტები, რადიოსადგური და სტერეომილი. როცა თავიანთ ნაწილში ბრუნდებოდნენ, მზვერავებმა მოსპეს კიდევ რამდენიმე გერმანელი. ჯავშანმტვრეველებმა უმცროსმა სერჟანტმა ფომიჩენკომ და წითელარმიელმა პეშკოვმა, გერმანელების მოპიკრეკ ბომბდამშენების იერიშის მოგერიებისას, ჩამოაგდეს 2 თვითმფრინავი „იუნკერს-88“. წითელარმიელ გრიჩკოვს ბრძოლაში ვიზნები გაუთავდა და იგი ტყვედ ჩაიგდო მტერმა. გზაში გრიჩკოვმა მოაკლა ორი ჰიტლერელი, რომლებიც მას ბადრაგობდნენ, დაბრუნდა თავის ქვეგანაყოფში და კვლავ ჩაება ბრძოლაში.

* * *

ბელგოროროდის მიმართულებით შეუპოვარი ბრძოლები გრძელდებოდა. მტრის ტანკებისა და ქვეითი ჯარის კოლონებს, რომლებსაც ავიაციის დიდი ძალები ეხმარებოდნენ, ეჯანფუწყვეტლივ მოჰქონდათ იერიშები საბჭოთა პოზიციებზე. ყველა სახის იარაღის ცეცხლით ჩვენი ნაწილები სპობდნენ მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას და კონტრდარტყმებით უკუაგდებდნენ იერიშზე გადმოსულ მტრის კოლონებს. დღის დამლეგისათვის გერმანელების ტანკების ჯგუფმა ჭოხერხა ჩვენს თავდაცვაში. სოლივით შეიჭრა. მოწინააღმდეგესთან ბრძოლებში წითელარმიელები და მეთაურები განსაკუთრებულ სიმტკიცესა და შეუპოვრობას იჩენენ. ჩვენი ქვეითი ჯარი გამოუშვებს ხოლმე გერმანელების ტანკებს თავის საბრძოლო წყებებზე, შემდეგ ტანკებისაგან მოსწყვეტს მოწინააღმდეგის ქვეითს ჯარს და გამანადგურებელ დარტყმებს აგემებს მას. ამ დროს არტილერისტებს, ტანკისტებს, ჯავშანმტვრეველებს მწყობრიდან გამოჰყავთ მტრის შემოჭრილი ტანკები. გერმანელთა ჯარებს ჩვენი მებრძოლების დარტყმებით უდიდესი ზარალი მოსდით ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. ბრძოლის ველზე ყრია მოწინააღმდეგის ასობით დაზიანებული და დაფშვნილი ტანკები, მრავალი დამტვრეული ავტომანქანა და გერმანელთა თვითმფრინავები.

* * *

კალინინის ფრონტზე მზვერავი რაზმების აქტიური მოქმედება სწარმოებდა. ერთ უბანზე ჰიტლერელებს ასეულმა იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. საბჭოთა მებრძოლებმა კონტრდარტყმით უკუაგდეს გერმანელები თავდაპირველ ზღუდეზე. ბრძოლის ველზე დარჩა 60 გვამი. სხვა უბანზე ჩვენმა მზვერავთა ჯგუფმა ეუცხო დარტყმით განდევნა მტერი პოზიციებიდან, რომლებიც ერთ მაღლობზე იყო განლაგებული. 6 შენაერთის სნაიპერებმა ამ უკანასკნელ თვეში გაუყლიტეს 374 ჰიტლერელი. სნაიპერმა ზასენკომ ამ ხნის განმავლობაში გაუყლიტა 24 გერმანელი, სნაიპერმა ბოინენკომ—20, სნაიპერმა პეტრენკომ მოსპო 14 ჰიტლერელი.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით გაცხოველებული სროლა სწარმოებდა. ჩვენმა არტილერისტებმა დაანგრიეს მოწინააღმდეგის 3 ბლინდაჟი, ააფეთქეს საომარ მასალათა საწყობი, ჩაახშეს 20-მდე საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენი მზვერავთა რაზმი მტრის განლაგებაში შეიჭრა. მზვერავებმა ტყვედ წამოიყვანეს გერმანელი ეფრეიტორი და ხელთ იგდეს ნაღმსატყორცნი, 2 ტყვიამფრქვევი და რამდენიმე შაშხანა. საბჭოთა არტილერიის და ნაღმსატყორცნების ცეცხლით დანგრეულია მტრის 9 ძელმიწური საცეცხლე წერტილი, 4 საათვალთვალო პუნქტი, 5 მიწური და 24 სატყვიამფრქვევო წერტილი. 6 ნაწილის სნაიპერებმა 70 ჰიტლერელი გაუყლიტეს.

* * *

კამენეც-პოდოლსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ივნისში ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა 7 სარკინიგზო ეშელონი ჯარებიანად და ტექნიკიანად. ვაგონების ნამსხვრევებ ქვეშ დაიღუპა რამდენიმე ასეული ჰიტლერელი. რაზმის მზვერავებმა გამოარკვიეს, რომ გერმანელები აპირებდნენ ფრონტზე გაეგზავნათ სუსლათი, რომელიც მათ ადგილობრივ მცხოვრებლებს წაართვეს. საბჭოთა პატრიოტებმა მოახდინეს თავდასხმა მტრის ბაზებზე და გაანადგურეს 6 საწყობი, ბევრი სუსლათი მოსახლეობას დაუბრუნეს.

გერმანელთა შემოტევა კურსკის რაიონში და ყალთაბანდები ჰიტლერის ბანაკიდან

ჰიტლერული ბანაკი სდუმდა იმაზე, თუ რა შედეგები მოჰყვა პირველ დღეს გერმანელთა ჯარების დიდ შემოტევას, რომელიც მათ 5 ივლისს დილით დაიწყეს ორიოლ-კურსკისა და ბელგოროროდის მიმართულებებით. და 7 ივლისს ჰიტლერულმა სარდლობამ გადაწყვიტა „სავლესაგან პავლედ გადაეტანა“, შემმტევი მხარისაგან თავდამცველ მხარედ გადაქცეულიყო და აცხადებს, შეტევას ეწევიან არა გერმანელები, არამედ წითელი არმიაო.

რატომ აირის იძულებული ჰიტლერული ბანაკი მიმართოს ამ ყალთაბანდურ ფანდს?

როგორც საბჭოთა საინფორმაციო ბიურო უკვე იუწყებოდა, 5 ივლისს, დილიდან გერმანელ ფაშისტთა ჯარები ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდი ძალებით, მრავალრიცხოვანი ავიაციის დახმარებით, შეტევაზე გადმოვიდნენ ჩვენი ჯარების მიერ დაკავებული პოზიციების წინააღმდეგ. დარტყმა ხდება ორი მიმართულებით—ორიოლის სამხრეთით მდებარე რაიონიდან კურსკისაკენ და ბელგოროროდის რაიონიდან ჩრდილოეთისაკენ, აგრეთვე კურსკის მიმართულებით.

გერმანელებმა ჩვენი ჯარების წინააღმდეგ შეტევაზე გადმოიყვანეს თავიანთი მთავარი ძალები, რომლებიც ორიოლისა და ბელგოროროდის რაიონებში არიან თავმოყრილი. ორიოლ-კურსკის მიმართულებით გერმანელთა სარდლობამ ბრძოლაში გამოიყვანა: მე-2, მე-9, მე-12, მე-18, მე-20 და 23-ე სატანკო დივიზიები, 36-ე მოტოდივიზია. მე-6, მე-7 78-ე, 86-ე, 216-ე, 258-ე და 383-ე ქვეითი დივიზიები. ბელგოროროდის მიმართულებით უტევენ მე-3, მე-6, მე-7, მე-11 და მე-19 სატანკო დივიზიები, აგრეთვე „სს“ სატანკო დივიზიები: „ადოლფ ჰიტლერი“, „დიდი გერმანია“, „რაიხი“ და „მკვდარი თავი“, 106-ე, 167-ე, 168-ე, 255-ე, 320-ე, 162-ე და 332-ე ქვეითი დივიზიები.

ამგვარად, გერმანელთა მხრივ შემოტევაში უკვე მონაწილეობას იღებს 15 სატანკო დივიზია, ერთი მოტოდივიზია და 14 ქვეითი დივიზია.

ქვეითი ჯარისა და ტანკების შემოტევის დასახმარებლად გერმანელთა სარდლობამ ფრონტის ამ უბანზე თავი მოუყარა ავიაციის მრავალრიცხოვან შენაერთებს, რომლებიც მოყვანილია არა მარტო საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრ

მოწინააღმდეგის იერიშები მოგერიებულია

მოსკოვი არმია, 6 ივლისი (საკუთარი სპეც. კორ.). 5 ივლისს განთიადზე ჩვენი ჯარები ორიოლ-კურსკისა და ბელგოროდის მიმართულებით შეუპოვარ ბრძოლებში ჩაებნენ შეტევაზე გადმოსულ გერმანელ ფაშისტთა ჯარებთან. ჰიტლერელები ცდილობდნენ გამოიყენონ ტანკების, ქვეითი ჯარის, არტილერიისა და ავიაციის მნიშვნელოვანი რაოდენობა. შემოტევას წინ უძღოდა საარტილერიო მომზადება. მძიმე ქვემეხების, მსხვილი ყალიბის ნაღმსატყორცნების კონცენტრირებული ცეცხლით და ავიაციის მასირებული მოქმედებით გერმანელები ცდილობდნენ ჩაეხშოთ ჩვენი საცეცხლე სამეალონი და დაეშალათ საბრძოლო წყობები.

საბჭოთა არტილერიამ მძლავრი შემხვედრი სროლა გაიჩაღა. ბატარეებმა ზუსტი ზალპებით ჩაიხშეს მტრის ბევრი ქვემეხი.

ჰაერში ფრონტის ხაზზე გაჩაღდა დიდი ბრძოლები, რომლებშიც ორივე მხრივ მონაწილეობას იღებდა დიდძალი თვითმფრინავი. საჰაერო ბრძოლებში საბჭოთა მფრინავებმა დიდი ზარალი მიაყენეს მტრის ავიაციას.

საარტილერიო და საავიაციო მომზადების შემდეგ მცირე უბანზე შეტევაზე გადმოვიდა მტრის ქვეითი ჯარის ჯგუფი ტანკების დახმარებით. ჰიტლერელები ცდილობდნენ ჩვენი ნაწილების ყურადღება ჩამოშორებინათ ამ უბნისათვის და უფრო დიდი ძალებით დაერტყათ სხვა რაიონში. გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა. 6 მსროლელმა ნაწილმა მოიგერია ფაშისტების პირველი იერიში. რამდენიმე ხნის შემდეგ პირველს მეორე იერიში მოჰყვა. ამჯერად მტერმა სამოქმედოდ გამოიყვანა 200-მდე ტანკი. მტრის სატანკო კოლონების წინ მოდიოდნენ გერმანელთა მძიმე მანქანები—„ვეფხვები". ამავე დროს დიდი გაფთრებით განმეორდა გერმანელთა ავიაციის თავდასხმები ჩვენი თავდაცვის წინა კიდეზე.

ფაშისტთა ბომბდამშენების წყობაში შეიჭრნენ საბჭოთა ავიაგამანადგურებლების მრავალრიცხოვანი ჯგუფები. ტანკებს გზა გადაუღობეს არტილერისტებმა, ქვეითებმა და მფრინავმა მოიერიშეებმა. ბრძოლის დასაწყისშივე ცეცხლი წაეკიდა მტრის რამდენიმე ტანკს, მათ შორის 3 „ვეფხვს".

ფლანგებიდან დაშენილი ცეცხლით ჩვენმა ჯარებმა მოახერხეს მოეწყვიტათ ტანკების მოჰყოლი გერმანელთა ქვეითი ჯარი. დღის პირველ ნახევარში მოსპობილია მტრის დიდძალი ნაწილი. მოწინააღმდეგის ყველა იერიში მოგერიებულია მისთვის დიდი ზარალის მიყენებით. მხოლოდ ცალკეულ უბნებზე გერმანელთა მცირე რაზმებმა მოახერხეს უმნიშვნელოდ შემოჭრილიყვნენ სოლივით ჩვენს თავდაცვაში.

ორიოლ-კურსკის მიმართულებით

მოსკოვი არმია, 7 ივლისი (საკუთარი სპეც. კორ.). ორიოლ-კურსკის მიმართულებით გრძელდება ჩვენი ნაწილების გაფთრებული ბრძოლები გერმანელთა ქვეით ჯარსა და ტანკებთან. საბჭოთა მებრძოლები განსაკუთრებულ მედგრობასა და ვაჟკაცობას იჩენენ ნი ოგერიებენ მოწინააღმდეგის ყველა ცდას შემოიჭრას საბჭოთა თავდაცვის სიღრმეში.

მტრის მოძალების მოგერიებაში, ფაშისტთა საბრძოლო ტექნიკის განადგურებაში ბრძოლების პირველ დღეებში დიდი როლი შეასრულეს ჩვენმა საინჟინერო ქვეგანაყოფებმა. მენაღმეთა მოორავი რაზმები მოწინააღმდეგის გაფთრებულ ცეცხლქვეშ მუშაობენ და გერმანელთა ტანკების, გზაზე ჩქმენან ნაღმიან არეებსა და ღობეებს. 30 ტანკზე მეტი და 600-მდე ჰიტლერელი აფეთქდა ნაღმებზე, რომლებიც 6 გვარდიული ნაწილის მესნიპერებმა მიმოჰფანტეს.

მეფგრად იბრძვიან საბჭოთა ქვეითები. მაიორ დავიდოვის ქვეგანაყოფმა მიიღო თავისთავზე მოწინააღმდეგის ძლიერი დარტყმა, რომელიც მიმართული იყო ჩვენი ჯარების ჯგუფის ფლანგში. მიუხედავად მტრის რიცხობრივი სიჭარბისა, ქვეითებს ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევიათ უკან, თოფისა და ტყვიამფრქვევის ერთობლივი ცეცხლით მათ მოჰკვეთეს ტანკებს მტრის ქვეითი ჯარი, ხოლო შემდეგ ალმოქმედეს თავიანთი ტანკსაწინააღმდეგო საშუალებანი, დაუნიანეს და დასწვეს ფაშისტთა 8 მანქანა. 5 ნაწილის ქვეგანაყოფს მოუხდათ მოწინააღმდეგის ას ტანკთან და ქვეითი ჯარის დიდ რაზმთან შეხვედრა. მსროლელებმა გაატარეს ტანკები თავიანთ სანგრებზე და გაუმართეს ბრძოლა მოწინააღმდეგის ქვეითს ჯარს, ტანკებს კი დაუშინეს ჯავშანმტრეველებმა და ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების გუნდებმა. 100 ტანკიდან გერმანელებმა აქ 50-მდე ტანკი დაჰკარგეს. ფაშისტებმა 7 გაფთრებული იერიში მოიტანეს ამ უბანზე და ყოველთვის სულ ახალ-ახალი ზარალით ბრუნდებოდნენ პირვანდელ პოზიციებზე.

ზოგიერთ უბნებზე დიდი სატანკო ბრძოლები გაიმართა. საბჭოთა საშუალო ტანკების ჯგუფი, რომელსაც უფროსი ლეიტენანტი კოსტერკო მეთაურობს, შეხვდა გერმანელთა მძიმე მანქანებს ტ-6—„ვეფხვებს". პირველსავე შეტაკებაში საბჭოთა ტანკისტებმა 4 „ვეფხვი" დაიანიეს.

მამაცურად იბრძვიან ჯავშანმტრეველები და არტილერისტები. დღის განმავლობაში გერმანელებმა სამჯერ გადმოისროლეს ჩვენი ერთი ნაწილის პოზიციებზე დიდძალი ქვეითი ჯარი და ტანკები. სამივე იერიში მოგერიებულ იქნა, ამასთან მოწინააღმდეგს აქ დიდი ზარალი მოუვიდა. ჯავშანმტვრეველები 150-200 მეტრზე უშვებდნენ ტანკებს, შემდეგ უშენდნენ მათ და მტერს სეროიოზულ ზიანს აყენებდნენ. გერმანელთა ორი ტანკი მოსპო სერეანტმა ლოზოვიმ, მტრის 4 მანქანა დასწვა ლეიტენანტმა მაკლინმა. ასეულის პარტორგმა—წითელარმიელმა გუსევმა ტანკსაწინააღმდეგო გრანატით აიფეთქა მოწინააღმდეგის მძიმე ტანკი.

ერთ უბანზე გერმანელებმა ქვეითი ჯარის წინ თავიანთი 15 ტანკი გამოუშვეს. ზინკოს ქვეგანაყოფის არტილერისტებმა მტრის მანქანებს გზა გადაუღობეს. ბატარეები, რომლებსაც სოკოლოვი და პოპრიი მეთაურობენ, ზარბაზნებს ღია პოზიციებზე გამოაყოლებდნენ ხოლმე და პირდაპირი დამიზნებით უშენდნენ ტანკებს მოკლე დისტანციებიდან. ამრიგად, მათ 8 მანქანა მოსპეს. დანარჩენი მანქანები სასწრაფოდ მიიმალნენ.

ბრძოლები გრძელდება.

ზ. ლიპავსკი
პ. ბარანიკოვი

ბელგოროდის მიმართულებით

მოსკოვი არმია, 7 ივლისი. (ტელეგრაფით ჩვენი კორ.). მტრის 211 დაზიანებული და დამწვარი ტანკი, 46 ჩამოგდებული თვითმფრინავი, რამდენიმე ათასი მოკლული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი—ასეთია ბელგოროდის მიმართულებით მომქმედი ერთ-ერთი ჩვენი შენაერთის უბანზე წარმოებული ბრძოლების ორი დღის შედეგები. ეს ციფრები მოწმობენ ჩვენი თავდაცვის სიმტკიცეს. მის ცეცხლოს სიძლიერესა და იმ თავგანწირულ ცდებს, რომელსაც მტერი მიმართავს, რათა დასძლიოს ჩვენი ჯარების წინააღმდეგობა.

ფრონტის ამ უბანზე ბრძოლის უკვე მესამე დღეს ცხადი გახდა, რომ მოწინააღმდეგის დაავდაპირველი გეგმა ჩაიშალა. გერმანელებს სურდათ აქ ჩვენს განლაგებაში შემოჭრილიყვნენ ერთი განიერი სოლივით, რომ დაენაწილებინათ და განეცალკევებინათ თავდაცვაში მყოფი ნაწილები. ჩვენი თავდაცვის სიმტკიცემ ჩაშალა მათი განზრახვა. მხოლოდ ცალკეულ უბნებზე, სადაც გაშლილი ადგილმდებარეობა და მოსახერხებელი გზები აადვილებდნენ ტანკების მანეურს, მოწინააღმდეგმ მიაღწია ნაწილობრივ წარმატებას, რამდენადმე წაიწია წინ.

მოწინააღმდეგე მთელი ძალღონით ცდილობს განვითარის წარმატება. ბრძოლაში გამოჰყავს ახალი დივიზიები, თავდაცვაში მყოფი ერთი შენაერთის უბანზე თავს უყრის რამდენიმე ასეული თვითმფრინავს. ნიღბავს ტანკებს და არტილერიას, ბედავს ტანკების გამოშვებას იქ, სადაც მათი წინსვლა დაკავშირებულია უაღრესად სერიოზულ სიძნელეებთან. მტერს მიზნად აქვს დასახული შემოიჭრას, რადაც არ უნდა დაუჯდეს, და ანგარიშს არ უწევს არავითარ დანაკარგს.

ჩვენი ჯარები სარგებლობენ სოლივით შემოჭრილ მტრის ტანკებისა და ქვეითი ჯარის ცალკეულ ჯგუფებთან ბრძოლის ყველა ხელსაყრელი პირობებით. ერთ უბანზე შემოიჭრა გერმანელების 15 ტანკი და ქვეითი ჯარის ბატალიონი. ჩვენმა დივიზიის არტილერიამ გზა მოუჭრა ამ შემოჭრილ ჯგუფს მჭიდრო გადამღობი ცეცხლით, გარშემოარტყა ცეცხლი ფლანგებიდან, შემდეგ კი სავსებით მოსპო კონტრშეტევაზე გადასულ მსროლელთა ქვეგანაყოფების დახმარებით.

მცენსკის სამხრეთ-დასავლეთით

მოსკოვი არმია, 6 ივლისი. (საკუთარი სპეც. კორესპონდენტისაგან). გუშინ განთიადზე მცენსკის სამხრეთ-დასავლეთით გერმანელები ორ პოლკამდე ქვეითი ჯარის ძალებით ცდილობდნენ იერიში მოეტანათ ჩვენს პოზიციებზე. დილის სრულ 3 სააზზე მათ ძლიერი სროლა გააჩაღეს. საარტილერიო მომზადებამ 45 წუთს გასტანა, რის შემდეგაც გერმანელებმა იერიშზე გამოუშვეს თავიანთი ქვეითი ჯარი.

მტრის ნაწილები, რომლებსაც ავიაცია ეხმარებოდა, ერთსა და იმავე დროს ოთხი მიმართულებით ჰოდიოდნენ. მტერს ეგონა, რომ საარტილერიო ცეცხლით ჩაახშო ჩვენი საცეცხლე საშუალებანი, ცდილობდა გაეძლიერებინა შემოტევა და დასახულ ზღუდეზე გამოსულიყო. ჰიტლერელები ანგარიშში მოსტყუვდნენ. მტრის ცეცხლმა ვერ დაანგრია ჩვენი თავდაცვის სისტემა. როდესაც მტერი საბჭოთა პოზიციებს მოუახლოვდა, ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ყველა სახეობის იარაღის სროლა გააჩაღეს. მტრის იერიშები სამ უბანზე ერთბაშად ჩაიფუშა, მტერს დიდი ზარალი მოუვიდა და პირველდელ ზღუდეზე დაიხია.

მარტო ერთ ვიწრო უბანზე, მნიშვნელოვანი მაღლობის რაიონში გერმანელთა ქვეითი ჯარის პოლკმა ბომბდამშენთა დახმარებით თავდაპირველად მოახერხა სოლივით შემოჭრილიყო ჩვენს თავდაცვაში და რამდენიმე სანგარი დაეკავებინა. მაგრამ მალე გადამწყვეტი კონტრდარტყმით მტერი უკუგდებულ იქნა. ბრძოლის ველზე დარჩა ჰიტლერელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა 600-მდე გვამი. წამოყვანილია ტყვეები.

ამ ბრძოლებში ჩვენმა მებრძოლებმა გვიჩვენეს რკინისებური სიმტკიცე და უნარი სწრაფი დარტყმა აგემონ ფაშისტებს. ლეიტენანტ პატაჩუკის მეავტომატეებმა არა მარტო შეინარჩუნეს თავიანთი ზღუდე, არამედ მალე განდევნეს მტერი მის მიერ დაკავებული სანგრებიდან. მარტო ერთ უბანზე მეავტომატეებმა გასწყვიტეს ერთ ასეულამდე გერმანელი. გაბედულად ებრძოდნენ ჰიტლერელებს უფროს ლეიტენანტ ხაკიმოვის მებრძოლები. ამ უბანზე მტერმა რამდენჯერმე სცადა განდევნა ხაკიმოვის ქვეგანაყოფები მათ მიერ დაკავებული პოზიციებიდან. მაგრამ ფაშისტთა იერიშებს წარმატება არა ჰქონიათ. ეფრეიტორი ზიმინი წითელარმიელთა ჯგუფთან ერთად რამდენჯერმე გადავიდა კონტრიერიშზე და ხიშტითა და კონდახით მოჰკლა 6 ჯარისკაცი და რამდენიმე ჰიტლერელი ტყვედ წამოიყვანა. ეფრეიტორმა გერასიმოვმა ხელმძღვანელობა გაუწია ბრძოლაში 3 გერმანელი მოსპო. ეფრეიტორი დერიაბინი ორჯერ დაიჭრა, მაგრამ პოზიციები არ დაუტოვებია და სასტიკ შეტაკებებში 15 გერმანელი დახოცა. მაღლობის კალთებზე კონტრიერიშის დროს წითელარმიელმა შალაბაევმა მებრძოლთა ჯგუფთან ერთად მტრის ორი სატყვიამფრქვევო ბუდე მოსპო.

საბჭოთა ქვეგანაყოფებმა უკუაგდეს მტერი პირვანდელ ზღუდეებზე და მტკიცედ ინარჩუნებენ თავიანთ პოზიციებს.

ი. გრიგოლავი

500 ნორმა 36 წუთში

ზეინკალ კოზულიას ძვირფასი მოწყალებილობა

სვერდლოვსკის ერთი ქარხნის მემრუდთარგზეინკალმა ამხ. კოზულიამ გააკეთა ორიგინალური მოწყობილობა ცხელი ტვიფრის მეთოდით დატის დასამზადებლად. იგი წარმოადგენს ბატარა დოლურას, რომელსაც ორივე მხარეს აქვს ბუდე. ფსკერზე ამოღრუტნულია დატის უცუღმა გამოხატულება. 800 გრადუს ტემპერატურამდე გაცხელებული დოლურის ბოლო ჩაეუჩის ორი-სამი დარტყმით იძლევა დატის ზუსტ საგრავიორო ანაბეჭდს ნამზადზე. დადატვის მთელ ოპერაციას სულ ბევრი 20-30 წამი უნდება.

თავისი მოწყობილობის გამოყენებით ამხ. კოზულიამ ამას წინათ 36 წუთში 500 საცალო ნორმა გააკეთა.

ავიღოთ უხვი მოსავალი ფრონტისა და ჩვენი ქვეყნისათვის

წარმაჯებით ავიღოთ უხვი სამხედრო მოსავალი

თეთრი წყაროს რაიონის მშრომელები, საბჭოთა კავშირის მარშლის დიდი **სტალინის** საპირველმაისო ბრძანებით აღფრთოვანებულნი, თავდადებულად მუშაობენ იმისათვის, რომ მიიღონ რაც შეიძლება მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, მზარდი დახმარება გაუწიონ ჩვენს ქვეყანას და გმირ წითელ არმიას გერმანელი ფაშისტი ბანდიტების საბოლოო განადგურების დაჩქარებაში.

წელს რაიონის კოლმეურნეობებმა საგაზაფხულო თესვის გეგმა 101,2 პროცენტით შეასრულეს, გეგმის გადამეტებით დათესეს 163 ჰექტარი. გარდა ამისა, მათ დათესეს 120 ჰექტარი მარცვლეული კულტურები თავდაცვის ფონდისათვის და გერმანელ დამპყრობლთაგან დაზარალებულ კოლმეურნეთა ძმური დახმარებისათვის. მარცვლეულ თავთავიან კულტურათა ნათესი ფართობი რაიონის კოლმეურნეობებში 18.940 ჰექტარს შეადგენს. ამჟამად ჩვენს წინაშე დგას უაღრესად პასუხსაგები ამოცანა—უხვი სამხედრო მოსავლის აღება.

რაიონში ფართოდ გაჩაღებული მასობრივი მუშაობის შედეგად თავთავიანი კულტურების მარგვლა ჩატარებულია მთელ ფართობზე. მთავრდება აგრეთვე სიმინდის, მზესუმზირას, კარტოფილის, ბახჩეული და ბოსტნეული კულტურების მერგე გათოხნა. დაბლობი ზონის კოლმეურნეობებში გათიბულია 3.300 ჰექტარი სათიბები.

მოსავლის აღებისა და გალეწვისათვის რაიონის ყველა კოლმეურნეობა უზრუნველყოფილია გამწესი ძალით, რთული სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი ძირითადად შეკეთებულია. კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი არიან აგრეთვე წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით: ნამგლებით, ცელებით და სხვ., ძაგრამ ნაწილობრივ აკლიათ ტომრები, თოკები, კანაფი, ნალ-ლურსმანი, რასაც უმოკლეს ვადაში შევიძენთ, ამასთან საქართველოს მიწსახკომშა და „სელხოზსნაბმა" ნაწილობრივი დახმარება მაინც უნდა გაუწიონ რაიონს ამ საქმეში. ყველა კოლმეურნეობაში ბეღლები და საწყობები გამოყოფილია, მათი უმრავლესობა უკვე შეკეთებული და დეზინფექცირებულია. აღრიცხვა და ანგარიშგება კოლმეურნეობებში დაყენებულია ისე, რომ შეესაბამება „მოსავლიანობის ამაღლებისა და პროდუქტიულობის გადიდებისათვის შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ" სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის დადგენილების მოთხოვნებს.

მოსავლის აღებისათვის კარგად მოემზადა სოფ. კოდის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. ი. დალაქიშვილი), აგრეთვე სოფ. ჯორჯიაშვილის, მუხათის, პატარა ენაგვთის, ივანოკის, დურნუკის და თეელი რიგი სხვა სოფლების კოლმეურნეობები. სოფ. კოდის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობამ უკვე დაამთავრა ქერის აღება და სახელმწიფოს ჩაბარა 20 ტონაზე მეტი მარცვალი. აღნიშნულ და სხვა კოლმეურნეობებში ბევრნი არიან მოწინავე ადამიანები, რომლებიც სამხედრო ტემპებით მუშაობის ნიმუშებს გვიჩვენებენ. მაგალითად, სოფ. მუხათის კოლმეურნე ეკატერინე ედიშვილი დღიურ ნორმას 200 პროცენტით ასრულებს. 1943 წლის პირველ ნახევარში მან უკვე გამოიმუშავა 150,5 შრომადღე, კოლმეურნე ბაგრატ მენთეშაშვილმა კი—325,5 შრომადღე. ასევე მოწინავენი არიან სოფ. კოტიშის კოლმეურნე

ამოწმებენ სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას

ქობულეთი („კომუნისტის" საკ. კორ.). 6 ივლისს ქობულეთში ჩატარდა რაიონის კოლმეურნეობებისა და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეების, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკების დირექტორების, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების, სპეციალისტებისა და სოფლის მეურნეობის სხვა ხელმძღვანელი მუშაკების თათბირი, რომელმაც ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმების საფუძველზე შეაჯამა 1943 წლის პირველი ნახევრის სასოფლო-სამეურნეო საქმეთა მიმდინარეობა. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ქობულეთის რაისაბჭოს აღმასკომის მიწათმოქმედების განყოფილების გამგე ამხ. უ. მეფარიშვილი.

სიტყვებით გამოვიდნენ ამხანაგები: სოფ. დაგვის ვორონცოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხ. ლავასასი, ციხისძირის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ნ. მესხიშვილი, ხალის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ჰ. ფალავანდიშვილი, ჩაქვის უბნის აგრონომი კ. მახარაძე, სოფ. ლეღვას მექანიკოს სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე რ. ტაქიძე, სოფ. ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაზე პარტმიმაგრებული ფანცხავა, ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ი. ფუტურაძე, სოფ. ალამბრის ანტონიეს სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. ნიეარაძე, სოფ. ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხ. ჯიჯავაძე, სოფ. ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხ. თამაზაშვილი და სხვ.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივანი ამხ. შ. ჭანუყვაძე.

თათბირზე აღინიშნა, რომ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად ქობულეთის რაიონის მშრომელებმა მიმდინარე წლის საგაზაფხულო სამუშაოები წარმატებით შეასრულეს. სიმინდი დასთესეს გეგმის 107,1 პროცენტი. ამას გარდა, გეგმის ზევით მრავალწლიანი ნარგავების მწკრივთა შორის გამოთესილია 890 ჰექტარი სიმინდი. გადაჭარბებით შესრულდა ბოსტნეულისა და საკვები კულტურების თესვის გეგმები. წარმატებით ჩატარდა ჩაის პლანტაციების გადაბარვა, გასხვლა, გაფორმება და რემონტი.

ჩაის კრეფის მაისისა და ივნისის გეგმები რაიონმა 103,1 პროცენტით შეასრულა, ჩაის ფაბრიკებს ჩაბარდა 3.890,5 ტონა მწვანე ფოთოლი. მოკრეფილი ფოთლის 55,4 პროცენტი პირველი ხარისხისაა. დროზე და მაღალხარისხოვნად ჩატარდა ციტრუსების გადაბარვა, რემონტი და საგაზაფხულო სხვა სამუშაოები რაიონის უმრავლეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. სეროიოზული მუშაობაა გაწეული ტუნგოს, ეკალიპტის, ბამბუკის პლანტაციებისა და ქარდამცავი ზოლების მოვლის საქმეში. რაიონის 34 კოლმეურნეობიდან 33 გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფო გეგმები. განსაკუთრებით კარგად იმუშავეს ხალის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებმა და ჩაქვის საბჭოთა მეურნეობამ.

თათბირმა ამასთანავე გაამახვილა ყურადღება არსებულ ნაკლოვანებებზე. რაიონში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ციტრუსოვანთა ნარგავების, ჩაისა და ტუნგოს პლანტაციების გათოხნა-გაფხვიერება და მწკრივთა შორის გამოცელვა. 5 ივნისის ცნობებით, ციტრუსოვანთა ნარგავების გათოხნის გეგმა რაიონში შესრულებულია 42 პროცენტით, გამოცელვისა—75 პროცენტით, ჩაის პირველი გათოხნისა—55,3 პროცენტით, ტუნგოს პირველი გათოხნისა—45,8 პროცენტით, მწკრივთა შორის გამოცელვისა—35 პროცენტით.

განსაკუთრებით შეფუწყნარებელი მდგომარეობაა ციტრუსოვანი პლანტაციების შეწამლვის საქმეში. მეორე წამლობის გეგმა რაიონს 9 პროცენტით აქვს შესრულებული. 34 კოლმეურნეობიდან ციტრუსების შეწამლვა დაწყებულია მხოლოდ 8 კოლმეურნეობაში. ოჩხამურისა და ციხისძირის საბჭოთა მეურნეობებს შეწამლვა ჯერაც არ დაუწყიათ.

სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა თათბირზე მტკიცე პირობა დასდეს, რომ ჩაის კრეფის ივლისის გეგმა რაიონში 25 ივლისისათვის შესრულდება.

დასასრულ, გამოქვეყნდა ყიურის დადგენილება. გარდამავალი წითელი დროშები მიიღეს მოწინავეებმა: ხალის სასოფლო საბჭომ (თავმჯდომარე ამხ. ფალავანდიშვილი), ვორონცოვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ლავასასი), ჩაქვის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ამხ. ნინიკაშვილი) და ოჩხამურის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი ამხ. ნემსაძე).

ნ. პაიჭაძე

მომკიდია 748 ჰექტარი მარცვლეული

თბილისის რაიონი, 6 ივლისი (საქდესი). თბილისის რაიონის დაბლობი ზონის კოლმეურნეობებში გაჩაღებულია თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება. უკვე მომკილია 748 ჰექტარი ქერი. სახელმწიფო ჩაბარებათა შესრულებას პირველნი შეუდგნენ სოფლანლეღის, თელეთისა და მთელი რიგი სხვა სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობანი.

გეგმების შესრულება

წალენჯიხის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობამ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ივნისის გეგმა 101,5 პროცენტით შეასრულა, მოჰკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარა, გეგმით გათვალისწინებული 423.000 კილოგრამის ნაცვლად, 429.400 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. ამავე დროს წალენჯიხის ჩაის ფაბრიკამ მზა პროდუქციის გამოშვების ივნისის გეგმა ასორტიმენტის დაცვით 185 პროცენტით შეასრულა, ჭალა-ფახულანის ჩაის ფაბრიკამ კი—101 პროცენტით.

საქ. კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომის მდივანი ა. კვარაცხელია
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ფაჩულია

ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება

(„საქჩაის" 5 ივლისის ცნობებით)

რაიონები	ივლისის გეგმის შესრულება პროცენტობით	გასული თვეების დანაკლისის ჩათვლით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით
ბათუმი	1,7	41,2	
ქობულეთი	3,9	41,1	
გალი	2,7	45,0	
ოჩამჩირე	4,2	38,7	
გულრიპში	—	43,3	
სოხუმი	—	48,0	
გუდაუთი	—	41,7	
მახარაძე	1,6	40,1	
ჩოხატაური	2,4	40,8	
ლანჩხუთი	2,0	37,2	
სამტრედია	3,5	45,6	
წულუკიძე	0,9	42,1	
ქუთაისი	5,8	48,6	
წყალტუბო	11,2	52,9	
ტყიბული	4,6	46,8	
ცხაკაია	1,1	43,5	
აბაშა	—	42,3	
გეგეჭკორი	—	40,7	
ზუგდიდი	3,5	42,8	
წალენჯიხა	5,3	44,8	
ჩხოროწყუ	1,0	41,7	
ხობი	1,9	42,4	

ახალი ცნობების წარმოუდგენლობის გამო მახარაძის (მახარაძის რაიონი), მამათის (ლანჩხუთის რაიონი), დიდიკუბნის მეორე (გეგეჭკორის რაიონი) და გუდაუთის (გუდაუთის რაიონი) ჩაის ფაბრიკებიდან ცხრილში შეტანილია 1 ივლისის მაჩვენებლები.

დღეკვირეული

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 8 ივლისი (საკდესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ძალების მეთაბე გადმოგვცემს, რომ გუშინ და 6 ივლისს ღამით მოკავშირეთა ბომბდამშენები განაგრძობდნენ იერიშებს მტრის აეროდრომებზე. გამანადგურებელმა ბომბდამშენებმა იერიშით ანეულეს მტრის კომუნიკაციებზე სიცილიაში. ინგლისის ავიაციის სამეფოს ბრძანებით, ეუბნება, რომ 7 ივლისს დღისით იხგლისის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ზოგიერთ ობიექტს ჩრდილოეთ საფრანგეთში, ჰოლანდიასა და ბელგიაში.

საომარი მოქმედება წყნარ ოკეანეში

ლონდონი, 7 ივლისი (საკდესი). წყნარ ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მომქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის შტაბის კომუნიკეში ნათქვამია, რომ საზღვაო ბრძოლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 5 ივლისს ღამით ყურე კულაში (კუნძულები ახალ გეორგიასა და კოლომბანგარას შუა), დამთავრდა იაპონელთა სრული დამარცხებით, რომელებმაც დაკარგეს სულ ცოტა 9 სამხედრო გემი.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ მოკავშირეთა ჯარები გადასხდნენ კუნძულ ახალ გეორგიაზე 5 ივლისს გათენებისას. დესანტის გადასვლის წინ მოკავშირეთა წყალზედა გემებმა ყურე კულაში დაუშინეს მოწინააღმდეგის ბაზებს. იმავე ღამეს მოკავშირეთა სახელეთო ჯარების ნაწილებმა კუნძულ რენდოვაზე დაიკავეს უბე ძანანა, რომელიც მდებარეობს შუნდას აეროდრომის აღმოსავლეთით 70 კილომეტრის მანძილზე.

ნიუ-იორკი, 7 ივლისი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ ყურე კულაში იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალებთან ბრძოლის დროს 6 ივლისს ჩაძირულია ამერიკის მსუბუქი კრეისერი „ელენე" (9.700 ტონა წყალგამტარი).

ინგლისზე გერმანიის ავიაციის თავდასხმების შენელება

ლონდონი, 7 ივლისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო აღნიშნავს, ორი უკანასკნელი კვირის განმავლობაში ინგლისში არც ერთი ბომბი არ ჩამოვარდნილა. ეს ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი სიჩუმეა ინგლისში საჰაერო ომის წარმოების მთელი ხნის განმავლობაში.

სააგენტოს აზრით, ინგლისში გერმანიის ავიაციის ოპერაციების სრული შეწყვეტა აიხსნება იმით, რომ გერმანიის საჰაერო ძალები გადაყვანილია აღმოსავლეთის ფრონტზე, გერმანელები განიცდიან ნაკლებობას სათადარიგო ნაწილებისა და საწვავისას, რაც მათ რუსისათვის წარმოებულ ბრძოლაში დაბარჯეს, და იმით, რომ მოწინააღმდეგე მიიმწრაფვის შეინახოს თავისი საჰაერო ძალები მოკავშირეთა შემოჭრის მოლოდინში.

გენერალ ქირროს ჩასვლა ვაშინგტონში

ნიუ-იორკი. 8 ივლისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ გენერალ ქირო ვაშინგტონს ჩავიდა.

კიფდერეული ოკუპანტების შიში საბჭოთა პარტიზანების წინაშე

ჰიტლერელი რადიომიმომხილველის გენერალ დიტმარის აღიარება

ჟენევა, 7 ივლისი (საკდესი). ჰიტლერელი რადიომიმომხილველი გენერალ-ლეიტენანტი დიტმარი ბერლინის რადიოთი გამოვიდა სიტყვით, რომელშიაც მეტყველდება ჰიტლერული სარდლობის შეშფოთება ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე პარტიზანების მოძრაობის ფართოდ განვითარების გამო.

დიტმარი აცხადებს, რომ გერმანელების ზურგი აღმოსავლეთში აგრეთვე ფრონტად იქცა.

იგი იძულებულია პირდაპირ აღიაროს, რომ ოკუპირებულ რაიონებში გერმანიის ჯარის ზურგში მოქმედებს რიცხობრივად ძლიერი რაზმები, რომლებთან ბრძოლაც მოითხოვს უაღრესად სეროიოზული ზომების მიღებას.

ჰიტლერელ მიმომხილველს არ შეუძლია დაჰფაროს, რომ პარტიზანული რაზმები გერმანელების ზურგს უდიდეს ზარალს აყენებენ. „მტრის რაზმების მოქმედება ზურგში,—აცხადებს იგი.—სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნის გერმანიის სარდლობას ფრონტისა და მოწინავე ხაზების მომარაგების საქმეში. ეს მოქმედება ბოლოს და ბოლოს ნამდვილ უბედურებად იქცა გერმანიის არმიისათვის".

„ამრიგად,—გულგატეხილად ჩივის დიტმარი.—პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლა გადაიქცა რთულ ამოცანად, რომლის გადაწყვეტა მცირე ძალებით შეუძლებელია". დიტმარი მსმენელებს მოაგონებს, რომ პარტიზანების წინააღმდეგ იგზავნებოდა მრავალი დამსჯელი ექსპედიცია და, ამის მიუხედავად, პარტიზანული რაზმები „ძაინც რჩებიან გერმანიის სარდლობისათვის სერიოზული შეშფოთების საგნად, მეტადრე იმასთან დაკავშირებით, რომ ამ რაზმებმა თავიანთი მოქმედება უმთავრესად გადაიტანეს რკინიგზის ხაზების გასწვრივ, რომლებიც წარმოადგენენ გერმანიის არმიისა და ზურგის კავშირის ძირითად საშუალებებს".

დასასრულ, დიტმარი ძალიან საყურადღებო დასკვნას აკეთებს. იგი საბჭოთა პარტიზანების მოქმედებას გერმანელთა არმიის წინააღმდეგ ადარებს რუსი პარტიზანების მოქმედებას ნაპოლეონის წინააღმდეგ. ჰიტლერელი გენ